ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1561709

ნომერი: AR1243436

თარიღი : 08.10.2014

გაცემის თარიღი : 27.10.2014

გაცნობის თარიღი : 25.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიქელაძე , N 1 , (ნაკვ.10/22) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა გელდიაშვილი პ/ნ 01006011042
- ბელიაშვილის ქ.49

ორგანიზაცია:

- შპს. "ელეგანსი" კოდი: 400111133

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 06.12.2006 წ. #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08.10.2014 წ. #AR1243436 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს „ელეგანსი“-ს დირექტორმა გელა გელდიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.12.2006 წ. #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 06.12.2006 წ. ქ.თბილისში, მიქელაძის ქ. #1-ში საკადასტრო კოდი: 1/13/3/10/22 და 1/13/3/10/48, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 1550 კვ.მ.) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საზ.კვების ობიექტის აშენების მიზნით გაიცა #გ-1/223 ქალაქმშენებლობითი პირობები.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 06.12.2006 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობები გაცემულია "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს ცვლილებები.

ვინაიდან მოთხოვნილი ფუნქციის საპროექტო ობიექტის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ (ზონალურ) ნებართვის საფუძველზე, სამსახურმა საკითხი განსახილველად წარადგინა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 20 ოქტომბრის #36 სხდომაზე, სადაც საკითხი გადაწყდა დადებითად, შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.12.2006 წ. #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში, საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: - სავაჭრო პავილიონი, საგამოფენო დარბაზები, ადმინისტრაციული შენობა და საწყობები;
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.12.2006 წ. #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტაციის #882014287390, მომზადების თარიღი: 11.06.2014 წ., საკადასტრო კოდი: 01.13.03.010.022, მიწის ნაკვეთის ფართობი: 760 კვ.მ.)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.